განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ღონისძიების ორგანიზება	40 (2 მიღებაზე)		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

2023 წლის 21 ივნისის MES 3 23 0000738438 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრი: ქეთევან ჯანელიძე) დაევალა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების მიზნით მონიტორინგის განხორციელება. ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განხორციელდა 2023 წლის 30 ივნისს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა. სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 2023 წლის 30 ივნისს განხორციელდა ვიზიტი. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსის დათვალიერება განხორციელდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

2.2.1.1. შესაბამისობის რეკომენდაცია: თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დადასტურდეს სათანადო მემორანდუმით.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოდულისთვის „ღონისძიებების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ მატერიალური რესურსის უზრუნველსაყოფად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შესაბამის დაწესებულებებს შორის. ეს კომპანიებია: შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „მეგა ტვ“, ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება, სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება და ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“. გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გულისხმობს სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული მოდული(ებ)ის განხორციელებას.

2.2.1.6 განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებაში შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, რომელშიც მოიაზრება სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებას. კოლეჯში ამ დრომდე არ დამდგარა სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება, თუმცა სასურველია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს სასწავლო რესურსის ადაპტირების მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ).

დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და მარეგულირებელ წესში გაჩნდა ჩანაწერი - სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესში. წესის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში) და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება უზრუნველყოფა სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვით.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - რამდენადაც პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, გამიჯნოს მათი უფლება მოვალეობები საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #26, 10.11.22წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	აწსუ-ს XVIII კორპუსი ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული სწავლება
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40 პროფესიული სტუდენტი, ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამა - ღონისძიების ორგანიზება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ღონისძიებების ორგანიზება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაწესებულებას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი. ყველა პროფესიული მოდულის განხორციელება დაგეგმილია A და B გარემოში (40 სტუდენტი 2 მიღებაზე), რომლებიც, აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (A გარემოში განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, 1 კომპიუტერი; B გარემოში - 20 მაგიდა და საკამი, 20+1 კომპიუტერი). C სასწავლო გარემო ესაჭიროება მოდულს „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“, ასევე მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება (სასწავლო ექსკურსიების ფარგლებში საწარმოს დათვალიერება)“, „პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება“, პრაქტიკული პროექტი - სპორტულ სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“.

აღნიშნული პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შესაბამის დაწესებულებებს შორის. ეს კომპანიებია:

- შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „მეგა ტვ“;
- ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება;
- სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება
- ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“.

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გულისხმობს სასწავლებლის გარეთ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოდული(ებ)ის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეებს შორის გაფორმებულ მემორანდუმებში მითითებულია განსახორციელებელი მოდულები: 1. გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების ორგანიზება (სასწავლო ექსკურსიების ფარგლებში საწარმოს დათვალიერება), „ღონისძიებების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“, „პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება“, პრაქტიკული პროექტი - სპორტულ სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა“.

წარმოდგენილი მემორანდუმების თანახმად, დაწესებულებები ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ მოდულების განხორციელებას და სწავლის შედეგების დასადასტურებლად უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტები საჭირო სივრცით და მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობით, უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული აქტივობებში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მაქსიმალური მონაწილეობა, განიხილონ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოდულების წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი დასაქმების საკითხი; დანიშნონ მენტორი რომელიც წარმართავს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საწავლო და საწარმოო საქმიანობის ობიექტზე მოდულების განხორციელებას, მიაწოდონ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული აქტივობის განხორციელებასთან და უზრუნველყონ მოდულების განხორციელების შედეგების მიღწევის ხელშეწყობა. ასევე ითანამშრომლონ უნივერსიტეტის მოდულის განმახორციელებელ პირთან და შექმნან სტუდენტისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემო. მემორანდუმის ჩანაწერის თანახმად ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება უშუალოდ მოდულების დაწყების წინ, სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე მოინახულა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები. კერძოდ: ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება; სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება და ბავშვთა გასართობი ცენტრი „პანდა“. ყველა ორგანიზაცია ფლობს მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N	სცენის გასანათებელი მოწყობილობა	1 კომპლექტი(მოიცავს სხვადასხვა ზომისა და ფერის ნათების ხელსაწყოებს)
1	მიქშერი	1 ცალი
2	მუსიკალური ცენტრი	1 კომპლექტი
3	რადიო–მიკროფონი	2 კომპლექტი
4	დინამიური მიკროფონი	2 ცალი
5	მიკროფონის შტატივი	1 ცალი
6	ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა (დინამიკი)	2 ცალი
7	ციფრული ფოტოაპარატი	1 ცალი

ექსპერტები შეხვდნენ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ადასტურებენ მზაობას, რომ ჩაერთონ პროგრამის განხორციელების პროცესში, ასევე ადასტურებენ პროგრამის საჭიროებას ქუთაისის რეგიონისათვის. უნივერსიტეტის განმახორციელებელ პირს საშუალება ექნება ადგილზე ჩაატაროს პრაქტიკული სწავლება და ორგანიზაციის თანამშრომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კოლაბორაციაში ჩაერთვებიან პროგრამის განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დარბაზში, სპორტული ღონისძიებების გარდა ეწყობა სხვა სახის ღონისძიებებიც. ყველა პრაქტიკის ობიექტი თავისუფლად იძლევა მემორანდუმით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელების საშუალებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 16, მათ შორის 9 ემსახურება პროფესიული დარგობრივი მოდულების განხორციელებას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“ და მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია დაწსებულებაში მოქმდ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ღონისძიებების ორგანიზება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე 2 ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით. კერძოდ, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობის მოთხოვნებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელებთან. გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და აცხადებენ მზაობას იმუშაონ პროგრამის განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა მხრიდან დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელების უფლება მოვალეობები. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ბიბლიოთეკის შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში „ღონისძიებების ორგანიზება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია კატალოგში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებულ კომპიუტერში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებლებაში შემუშავებულია სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი, რომელიც გაწერილია სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში. წესის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში) და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამს, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის აწსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, **მოდულების ადაპტირების გზით დააკმაყოფილოს სსსმ პირების საჭიროებები და მოთხოვნილებები.**

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი, შემოსავლების და ხარჯების ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რენტაბელობის ზღვარი 14 პროფესიული სტუდენტზეა გათვლილი. მთავარი შემოსავლის წყაროა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - დაწესებულების ვაუჩერული დაფინანსება განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

ხარჯების ნაწილით განსაზღვრულია: მასწავლებელთა ხელფასი (50%), პროგრამის ხელმძღვანლის ხელფასი (7.4 %), ნედლეული და მასალა (21.0%), კომუნალური და სხვა გადასახადი (9.8 %) და პროგრამის განვითარების ხარჯები (11 %).

ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზება“ ფინანსურად მდგრადია, **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“;
- ბრძანებით დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;.
- ვიზუალური დათვალიერება;.
- პროგრამის ბიუჯეტი;.
- ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „მეგა ტვ“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოდული(ებ)ის განხორციელების შესახებ;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოდული(ებ)ის განხორციელების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბავშვთა გასართობ ცენტრს „პანდას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოდული(ებ)ის განხორციელების შესახებ;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებას შორის შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლებლის გარეთ კოოპერაციული სწავლების ფორმით პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მოდული(ებ)ის განხორციელების შესახებ;
- პროფესიულიგანათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

18.07.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: